2 / 6
1923

W 1,2

1-13

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დეფექტის ფურცელი

დეფექტის სახე	დაზიანებული გვერდები	თარიღი	დაზიანებული გვერდები	თარიღი
1	2	3	2	3
1. ამოხეულია ფურცლები . . .				
2. „ ილიუსტრაციები				
3. ამოვარდნილია ფურცლები				
4. დახაზულია				
5. დასვრილია				
6. ყდის დეფექტი				
7. დაზიანებულია მწერებისაგან				
8. „ თაგვისაგან . .				
9. მოხეული ფურ.	8/189			26/X-40
10.				
11. აკლია NN-	3, 4, 5.			

26.

„ტიპ. და შრ." 2011

2
1923/2
34(05)
5-24
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა
2
1923/2

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1923 წლის ივლისის 4.

№ 1.
განყოფილება პირველი

გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

შინაარსი:

მუხ. 1. სამუშაო ხელფასის მინიმუმის შესახებ 1923 წლის იანვრისათვის.
„ 2. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და ამიერკავკასიის რკინისგზის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ურთიერთი დამოკიდებულების შესახებ.
„ 3. საბაჟო დაწესებულებათაგან მგზავრებისა და მათ მიერ წაღებული ნივთების გაშვების წესის შესახებ.
„ 4. საუცხოეთო ვიზისა და პასპორტის მიცემის შესახებ.
„ 5. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მონაწილეობის შესახებ ქ. ლიონის საერთაშორისო ბაზრობაში.
„ 6. სამუშაო ხელფასის მაქსიმუმის შესახებ 1923 წლის იანვრისათვის.
„ 7. 26-ს სახელობის ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის დაარსების შესახებ.
„ 8. თანაბარი სააქციზო განაკვეთის დაწესების შესახებ ამიერკავკასიის ფედერაციის ფარგლებში.
„ 9. საზღვაო ტრანსპორტის მოქმედების გაერთიანების შესახებ.

დადგენილება № 1 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის იანვრის 23.

1. სამუშაო ხელფასის მინიმუმის შესახებ 1923 წლის იანვრისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1923 წლის იანვრისათვის ამიერკავკასიის ფედერაციის მთელს ტერიტორიაზე სამუშაო ხელფასის მინიმუმად ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესებულ იქნეს 1.900.000 (ერთი მილიონი ცხრაასი ათასი) მანეთი იმ ადგილებისათვის, რომელიც შედის განაკვეთის 100% ზოლში; სხვა ზოლების ადგილებისათვის აღნიშნული მინიმუმი სათანადოთ უნდა იქნეს გადიდებული ან შემცირებული.

2. ზოლების დაწესება და გამოქვეყნება დაევალოს ამერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს სამი დღის განმავლობაში.

3. არც ერთ სახელმწიფო და კერძო საწარმოს არა აქვს უფლება მისცეს სამუშაო ხელფასის იმ რაოდენობაზე ნაკლები, რაც დაწესებულია ამა დადგენილების პირველ მუხლში.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე სამართალში მიეცემა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—**მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი—**ს. იაკუბოვი.**

მდივნის მაგიერ—**ორლოვი-მალახოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის იანვრის 24-ს თარიღის 16 №-ში.

დადგენილება № 2 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. იანვრის 29.

2. ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და ამიერკავკასიის რკინისგზის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ურთიერთი დამოკიდებულების შესახებ.

1. ამიერკავკასიის რკინისგზის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა წარუდგინოს ხოლმე პერიოდული დაწვრილებითი მოხსენებანი და თავისი მოქმედების ანგარიშები ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს, თვინიერ გზათა ცენტრალური ინსპექციის სავალდებულო ანგარიშებისა და მოხსენებისა.

2. იმავე ინსპექციამ უნდა აღასრულოს ყოველი შენაკვეთი და დავალება ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და ამის შესახებ უნდა აცნობოს ხოლმე გზათა ცენტრალურ ინსპექციას თავისი მოქმედების ანგარიშში.

ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის იანვრის 30 თარიღის 21 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 3 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. იანვრის 29.

3. საბაჟო დაწესებულებათაგან მგზავრებისა და მათ მიერ წანატანი ნივთების გაშვების წესის შესახებ.

1. რუსეთის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ,—ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით,—დამტკიცებული წესი—რუსეთის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის საბაჟო დაწესებულებათაგან მგზავრებისა და მათ მიერ წანატანი ნივთების გაშვების შესახებ—გავრცელებულ იქნეს აგრეთვე ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის საბაჟო დაწესებულებებზედაც.

2. შეტანილ იქნეს ამა წესის ტექსტში,—ადგილობრივი პირობების გამო განსაკუთრებული გამონაკლისის სახით,—მე-12 მუხ. Д პუნქტის შენიშვნა შემდეგი შინაარსისა: „მლოცველ მუსლიმანთ ნება ეძლევათ,—ფინანსთა სახალხო კომისრის წარმომადგენლის (აზერბაიჯანში) დასტურით თვითეულ შემთხვევაში ცალკე,—გაიტანონ საზღვარგარეთ, არსებული ნორმის გარეშე, უცხოეთის ქაღალდის ვალიუტა ან ვერცხლის ფული სამას ოქროს მანეთამდე“,—ხოლო იმავე მუხლის B პუნქტს დაემატოს: „და ერთი ხალიჩა $2 \times 1^1/_2$ არშ. ზომისა“.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. იანვრის 30-ს თარიღის 21 №-ში.

დეკრეტი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის იანვრის 29.

4. საუცხოეთო ვიზისა და პასპორტის მიცემის შესახებ.

1. საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეთა და უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომთა საზღვარგარეთ წასვლა ამიერიდან შეიძლება არა სხვაგვარად, თუ არ რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ნებართვით, რაც მიეცემა:

ა) საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეს—საუცხოეთო პასპორტისა და გასაშვები მოწმობის სახით;

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბ) უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომს—მის ნაციონალურ პასპორტზე ან გასაშვებ მოწმობაზე დასმული ვიზის სახით.

2. ყველამ, ვისაც საზღვარგარეთ წასვლა სურს, უნდა შეიტანოს ამის შესახებ საბჭოთა რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატში განცხადება დადგენილი ფორმით, რასაც დაურთავს:

ა) საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქე: საცხოვრებელ მოწმობას, ოთხ ფოტოგრაფიულ სურათს, საბჭოთა რესპუბლიკების ორი ისეთი მოქალაქის თავდებობას, რომელნიც შებღალულნი არ არიან სასამართლოს მიერ და არ იმყოფებიან გამოძიების ქვეშ, სამხედრო ბეგარის მოწმობას (სამხედრო ვალდებულისათვის), მოწმობას სამსახურის ადგილისა ან აღნუსხვის ადგილისა იმის შესახებ, რომ არ არსებობს დაბრკოლება საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის (იმ პირისათვის, ვინც თავისი სპეციალობის გამო განსაკუთრებულ აღნუსხვაზე იმყოფება) და წარვლინების დოკუმენტის ასლს (იმ პირისათვის, რომელიც წარვლინებულია საბჭოთა დაწესებულებისა ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ);

ბ) უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომი: საცხოვრებელ მოწმობას, საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში გაცემულს და ნაციონალურ პასპორტს.

შენიშვნა. უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომი, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს სამსახურშია, ვალდებულია წარადგინოს აგრეთვე მოწმობა სამსახურის ადგილისა, რომ არ არსებობს კანონიერი დაბრკოლება საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის.

3. იმ პირთ, რომელნიც სტხოვრობენ აზერბაიჯანისა, სომხეთისა და აჭარის რესპუბლიკებში ან აფხაზეთისა და ნახიჩევანის ავტონომიურ ოლქებში, უფლება ეძლეოათ საზღვარგარეთ წასასვლელი ნებართვის მისაღებად მიმართონ საბჭოთა რესპუბლიკების გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს, სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს კანცელარიისა ან სათანადო ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის კანცელარიის მეშვეობით, საიდანაც საზღვარგარეთ გასამგზავრებელი პირის განცხადება, ამა დეკრეტით გათვალისწინებულ ყველა დანართით—გადაეგზავნება საბჭოთა რესპუბლიკების გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს.

4. საზღვარგარეთ მიმავალი პირი გაიღებს გადასახადს თანახმად საკონსულო გადასახადთა დებულებისა.

5. საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქეთათვის მიცემული საუცხოეთო პასპორტი და უცხოელის ეროვნული დოკუმენტი, საბჭოთა რესპუბლიკების ფარგლებში ეწევა საცხოვრებელი მოწმობის მაგიერობას, იმ ვადის განმავლობაში, რაც აღნიშნულია ვიზაში ან პასპორტში. ის პირი, რომელიც ვიზაში ან პასპორტში აღნიშნულ ვადაზე არ წავა საზღვარგარეთ, ვალდებულია განაახლოს ვიზა ან პასპორტი, ან და დაუყოვნებლივ აიღოს დადგენილი მოწმობა საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში ცხოვრებისათვის.

6. საუცხოეთო პასპორტი ნამდვილუოფილია საზღვარგარეთ ცხოვრებისათვის ექვსი თვის განმავლობაში დღიდან მისი გაცემისა. უცხოეთში წასულმა საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქემ, უკეთუ საჭიროა, რომ იგი დარჩეს იქ იმ ვადაზე მეტ ხანს, რაც აღნიშნულია მის პასპორტში,—უნდა მიიღოს ვადის განმ-

ეროვნული
.ბიბლიოთეკა

გრძობის ნებართვა საბჭოთა რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენლისგან. პასპორტის ვადა შეიძლება განგრძობილ იქნეს ექვს თვეზე არა უმეტეს; ვადის განგრძობისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს არსებული გადასახადი.

შენიშვნა 1. ნება მიეცეს საბჭოთა რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს, საჭირო შემთხვევაში, დაინტერესებული პირის ან დაწესებულების ცალკე შუამდგომლობისამებრ, მისცეს პასპორტი და საზღვარგარეულ ცხოვრების ნებართვა ამ მუხლში აღნიშნულ ვადაზე მეტი ხნითაც.

შენიშვნა 2. საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც არ მიიღებს ნებართვას, რათა დარჩეს საზღვარგარეულ მეტ ხანს, ვიდრე აღნიშნულია პასპორტში და ვადაზე არ დაბრუნდება უცხოეთიდან,—ვადაიხდის გადასახადს სამკეცად.

7. საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც 16 წელი შეუსრულდა, მიიღებს ცალკე საუცხოეთო პასპორტს; ბავშვი, რომელსაც 16 წელი არ შესრულებია და მშობლებთან ერთად მიდის საზღვარგარეულ, აღინიშნება დედის ან მამის პასპორტში. 16 წლის შესრულებისას და აგრეთვე სხვა აუცილებელ შემთხვევაში საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქე შეიძლება გამოიყოს იმ პირის პასპორტიდან, რომლის პასპორტშიც იგი აღნიშნულ იყო; ამ შემთხვევაში საბჭოთა რესპუბლიკის სათანადო სრულუფლებიანი წარმომადგენელი უცხოეთში შეიტანს ამის შესახებ ცნობას მშობლების პასპორტში, ხოლო ახლად მიცემულ პასპორტში მოიხსენიებს წინანდელ პასპორტს, რომელშიც ეს არასრულწლოვანი აღნიშნულ იყო. ცალკე პირისათვის მიცემულ თვითეულ პასპორტზე აღებულ უნდა იქნეს დაწესებული გადასახადი.

8. უცხოეთის მოქალაქე, საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებიდან სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე გასასვლელად, ვალდებულია აიღოს ამა დეკრეტის პირველ მუხლში აღნიშნული ნებართვა. რესპუბლიკათა კავშირის მოქალაქეზე ეს წესი არ გავრცელდება.

9. დეკრეტი ესე არ გავრცელდება: დიპლომატიური პასპორტის მიცემაზე, აგრეთვე ვიზის მიცემაზე, როგორც უცხოეთის ფლოტისა, ისე საბჭოთა რესპუბლიკის სავაჭრო ფლოტის სანავიგურჭელო როლებისა და ნავიგურჭელის კომანდის სიებისათვის; აგრეთვე არ გავრცელდება რეპატრიანტებისა და ოპტანტების სიებისათვის ვიზის მიცემაზე, არ გავრცელდება სანაპირო ზოლის მკვიდრთათვის საზღვარის გადასასვლელად მოკლევადიანი ნებართვის მიცემაზე და წესი ამაების მიცემისათვის განისაზღვრება ცალკე დებულებით.

10. საბჭოთა რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა ამა დეკრეტის განსავითარებლად გამოსცეს ხოლმე საჭირო დებულება და ინსტრუქცია.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელა'შვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის იანვრის 30-ს თარიღის 21 №-ში.

დადგენილება № 5 ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის იანვრის 30.

5. ამერიკავკასიის რესპუბლიკათა მონაწილეობის შესახებ ქ. ლიონის საერთაშორისო ბაზრობაში.

ამერიკავკასიის რესპუბლიკათა საკავშირო საბჭოს მიერ ქ. ლიონის საერთაშორისო ბაზრობაში ამერიკავკასიის რესპუბლიკათა მონაწილეობის შესახებ 1923 წლის იანვრის 12-ს თარიღითა და 3 ნომრით გამოცემული დადგენილების დასამატებლად, ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყოველი საქონელი, რაც საკომისიო საფუძველზე, სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების მეშვეობით, იგზავნება ქ. ლიონის ბაზრობაზე,— განთავისუფლდეს სალიცენზიო და დამატებითი გადასახადისაგან.

2. დაწესდეს რკინისგზის შელავათიანი ტარიფი 1923 წლის მაისის 1-დე და მომქმედი ტარიფი შემცირებულ იქნეს ოცდა ხუთი პროცენტით იმ საქონელისა, ნიმუშებისა და სხვა ექსპონატებისათვის, რაც გაიგზავნება ბათომს ბაზრობის ბიუროს მისამართით.

3. ამა დადგენილების 2 მუხლში აღნიშნული შელავათიანი ტარიფი გავრცელდეს 1923 წლის ივნისის 1-დე იმ ნიმუშებზე, რაც ბაზრობიდან უკანვე გამოიგზავნება და რომელსაც დართული ექნება სათანადო მოწმობა ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის უცხოეთში მყოფი სავაჭრო წარმომადგენლებისა.

4. ამერიკავკასიის ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციას, რომელიც ჰგზავნის საქონელს ლიონის ბაზრობაზე, ნება მიეცეს შემოიტანოს უკანვე საეკვივალენტო ღირებულების უცხოეთის საქონელი, რასაც დართული უნდა ექნეს სათანადო მოწმობა ამა დადგენილების 3 მუხლის თანახმად; ასეთ საქონელს არ გადაეხდება სალიცენზიო გადასახადი.

5. ამერიკავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებულ ბაზრობის ბიუროს ნება მიეცეს ამა 1923 წლის მარტის 1-დე უბაჟოდ გაიტანოს საქონლის ნიმუშები და სხვა ექსპონატები, რასაც იგი ბაზრობაზე გაგზავნის.

6. ბაზრობიდან დაბრუნებული საქონლის ნიმუშებისა და სხვა ექსპონატებისათვის დაწესებულ იქნეს უბაჟო შემოტანის უფლება.

ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი — **მ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის თებერვლის 1-ს თარიღის 23 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 6 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. თებერვლის 5.

6. სამუშაო ხელფასის მაქსიმუმის შესახებ 1923 წ. იანვრისათვის.

სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. იანვრისათვის სამუშაო ხელფასის მაქსიმუმად ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით დაწესებულ იქნეს სამოცდა ხუთმეტი მილიონი მანეთი და დაწესებულებათ მიეცეს უფლება გაიღონ სასყიდელი სათანადო განაკვეთით, მაქსიმუმის ფარგლებში იმ ფონდებიდან, რაც მიეცათ მათ საკვალიფიკაციოდ და სპეციალისტთა განაკვეთისათვის.

2. ცალკე, განსაკუთრებული კვალიფიკაციის სპეციალისტებისათვის ნება დაერთოს დაწესებულებათ და სამეურნეო ორგანოებს აღძრან ხელმე პერსონალური შუამდგომლობა ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე—მაქსიმუმის გადიდების შესახებ.

3. აღნიშნული შუამდგომლობანი წარიგზავნება ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ შრომის სახელფასო კომისიაში, რომელიც წარუდგენს ამ შუამდგომლობათ სახალხო კომისართა საბჭოს თავისი დასკვნითურთ.

ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. იანვრის 7-ის თარიღის 28 №-ში.

დეკრეტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის თებერვლის 6.

7. 26-ს სახელობის ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის დაარსების შესახებ.

I. ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი დაარსდება ქალ. ტფილისში.

II. ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი მოეწყობა შემდეგი შედგენილობით:

1) ქართული სექტორი, ერთწლიანი კურსი, კომლექტი—100 სტუდენტი, პროგრამა—საბჭოთა პარტიული სკოლის მე-2 საფეხურისა;

2) თურქული სექტორი, ერთწლიანი კურსი, კომპლექტი—50 სტუდენტი, პროგრამა—საბჭოთა პარტიული სკოლის მე-2 საფეხურისა;

3) სომხური სექტორი, ერთწლიანი კურსი, კომპლექტი—50 სტუდენტი, პროგრამა—საბჭოთა პარტიული სკოლის მე-2 საფეხურისა;

4) რუსული სექტორი, ერთწლიანი კურსი, კომპლექტი—50 სტუდენტი, პროგრამა საბჭოთა პარტიული სკოლის მე-2 საფეხურისა;

5) საზოგადოებრივ-პედაგოგიური ფაკულტეტი, სამწლიანი კურსი, კომპლექტი—100 სტუდენტი, პროგრამა—ნორმალური კომუნისტური უნივერსიტეტის სალექტორო კურსისა.

6) პარტიულ-საბჭოთა ფაკულტეტი, სამწლიანი კურსი, კომპლექტი—200 სტუდენტი, პროგრამა—ნორმალური კომუნისტური უნივერსიტეტის ძირითადი კურსისა.

III. ნაციონალური სექტორების სტიპენდიათა განაწილებას მოახდენენ რესპუბლიკანური ხელისუფლებანი; რუსული სექტორის, საზოგადოებრივ-პედაგოგიური და პარტიულ-საბჭოთა ფაკულტეტების სტიპენდიებს განაწილებს ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო.

განაწილებას მთლიანად დაამტკიცებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

IV. საზოგადოებრივ-პედაგოგიური და პარტიულ-საბჭოთა ფაკულტეტების პროგრამა, სასწავლო გეგმა და მუშაობის მეთოდი—შემუშავდება ნორმალური კომუნისტური უნივერსიტეტის თანამოსახელე ფაკულტეტების მსგავსად. ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის ყველა ნაწილის პროგრამასა და სასწავლო გეგმაში სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს კავკასიისა და აღმოსავლეთის ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული და ყოფა-ცხოვრების პირობების შესწავლას.

V. ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის ნაწილთა გაშლის რიგი:

1) ქართული სექტორი გაიხსნება 1923 წლის თებერვლის 15-დან;

2) თურქული სექტორი გაიხსნება 1923 სექტემბრის 15-ს;

3) სომხური სექტორი გაიხსნება 1923 წლის სექტემბრის 15-ს;

4) რუსული სექტორი გაიხსნება 1923 წლის თებერვლის 15-ს;

5) საზოგადოებრივ-პედაგოგიური ფაკულტეტი გაიხსნება 1923 წლის თებერვლის 15-ს;

6) პარტიულ-საბჭოთა ფაკულტეტი გაიხსნება 1923 წლის სექტემბრის 15-ს.

VI. ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის გამგეობის შედგენილობა: გამგეობის პრეზიდიუმი: რექტორი, მისი მოადგილე და პასუხისმგებელი მდივანი; გამგეობის წევრნი: ნაციონალური სექტორების გამგენი და საზოგადოებრივ-პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი და პარტიულ-საბჭოთა ფაკულტეტის დეკანი.

VII. ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტს ფინანსიურად უზრუნველჰყოფს ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელა'შვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის თებერვლის 8-ს თარიღის 29 №-ში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 7 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის თებერვლის 10.

8. თანაბარი სააქციზო განაკვეთის დაწესების შესახებ ამიერკავკასიის ფედერაციის ფარგლებში.

რათა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შექმნილ იქნეს ერთიანი ეკონომიური ფრონტი და არაპირდაპირი დაბეგვრის სფეროში დაწესდეს თანაბარი განაკვეთი, სახალხო კომისართა საბჭო, ამიერკავკასიაში ამჟამად აქციზის შესახებ მომქმედი დეკრეტებისა და დადგენილებათა შესაცვლელად, ადგენს:

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭო რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაწესდეს სააქციზო გადასახადი შემდეგ საფუძველზე:

1. ყველა სააქციზო გადასახადი გადახდევინებულ იქნება ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით და რესპუბლიკათა ადგილობრივი ფულის ნიშნებით იმ კურსის თანახმად, რაც დაწესებულია საკავშირო საბჭოს 1923 წლის იანვრის 10-ს დეკრეტით.

აქციზი წუმწუმის ასანთზე.

2. წუმწუმის ასანთს, როგორც ადგილობრივ დამზადებულს, ისე უცხოეთიდან შემოტანილს, დადება აქციზი ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით შემდეგი რაოდენობისა: რვაასი მანეთი თვითეულ კოლოფზე, რომელიც 75 წკირზე მეტს არ შეიცავს; ათას ექვსასი მანეთი თვითეულ კოლოფზე, რომელიც შეიცავს 75 წკირზე მეტს მაგრამ არა უმეტეს 150 წკირისა; ორი ათას ოთხასი მანეთი თვითეულ კოლოფზე, რომელიც შეიცავს 150 წკირზე მეტს, ხოლო არა უმეტეს 225 წკირისა და სხვ.

3. წუმწუმის ასანთის დამზადება შეიძლება მარტოოდენ იმ ფაბრიკაში, რომელსაც რეგისტრაცია ექნნა არაპირდაპირ გადასახადთა ადგილობრივ სამმართველოში.

4. აქციზი ასანთის ნაკეთობისათვის გადახდილ უნდა იქნეს მისი გამოშვების დროს ფაბრიკიდან ან საბითუმო და საბაზისო საწყობიდან.

აქციზი ლუდსა, თაფლსა და კვასზე, ხილეულობისა და ხელოვნურ წყალზე.

5. მოსახლეობისათვის მისაყიდათ გამოშვებულ ლუდს, რომელიც შეიცავს ალკოგოლს არა უმეტეს ექვსი გრადუსისა, თაფლს, კვასსა და ხილეულობის წყალს, რომელშიც ალკოგოლი არის $1^1/_2$ გრადუსამდე და აგრეთვე ხელოვნურ მინერალურ წყალს დაედება აქციზი შემდეგი რაოდენობით:

ა) გამოშვებული ლუდის თვითეულ ბოთლზე, რომელიც ვედროს $^1/_{20}$-ს უდრას, გადახდევინებულ უნდა იქნეს ოცი ათასი მანეთი ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით, ანუ ოთხასი ათასი მანეთი ვედროზე იმავე ფულის ნიშნებით;

ბ) გამოშვებული თაფლისა, კვასისა, ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყალის თვითეულ ბოთლზე, რომელიც უდრის ვედროს $^1/_{20}$-ს, ათასხუთასი მანეთი ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით, ანუ ოცდაათი ათასი მანეთი ვედროზე იმავე ფულის ნიშნებით.

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. აქციზი ლუდზე გადახდეცინებულ უნდა იქნეს მისი გამოშვების დროს ლუდის გამომხდელი ქარხნის სარდაფიდან ან საწყობიდან, რომელიც ქარხანასთან არსებობს, ხოლო მე-5 მუხლში ჩამოთვლილ სხვა სასმელებზე—მათი გამოშვების დროს დამზადების ადგილიდან.

7. გამოხდა და გაყიდვა ლუდისა, თაფლისა, კვასისა და ყოველგვარი სხვა ხილეულობის წყალისა შეიძლება მარტოოდენ იმ ქარხანაში და საწყობში, რომელიც არაპირდაპირ გადასახადთა ადგილმბრივი სამმართველოს მიერ გატარებულია რეგისტრაციაში.

8. ლუდის ბითუმად და ცალობით გაყიდვის ადგილი მისი გაყიდვის უფლებისათვის გადაიხდის ცალკე საპატენტო გადასახადს, თანახმად დაწესებული საზოლო ნიხრისა, მოიხედავთ სარეწავი და ვაჭრობის უფლების სხვა გადასახადის გაღებისა. მე-5 მუხლში ჩამოთვლილი დანარჩენი სასმელების გაყიდვის ადგილი ცალკე საპატენტო გადასახადს არ გადაიხდის.

აქციზი ნავთის პროდუქტებზე.

9. აქციზით დაიბეგვრება ნავთის სანათი ზეთი (კეროსინი) და სხვა გამჭვირვალე ნახადი პროდუქტი ნავთის ქიმიური და ყოველნაირი სხვა დამუშავებისა (სანათი და საცხებელი ზეთი),—ბენზინის გარდა,—ას სამოცი ათასი მანეთის რაოდენობით ფუთზე, ხოლო ბენზინი—ოთხასი ათასი მანეთის რაოდენობით ფუთზე.

10. ამიერკავკასიის ფედერაციის ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა აღნიშნოს ხოლმე განსაზღვრა იმ ნიშნებისა, რაც ნახად პროდუქტებს ან ნავთის ქიმიური და ყოველნაირი სხვა დამუშავების პროდუქტებს—განასხვავებს ნავთის დანარჩენ პროდუქტებისაგან, რომელსაც აქციზი არ უნდა დაედოს.

11. ამა დადგენილების მე-9 მუხლში აღნიშნული პროდუქტების აქციზით დაბეგვრა სწარმოებს ამ პროდუქტების გამოშვების დროს მათი დამზადების ადგილიდან.

აქციზი ჩაიზე, ყავაზე და ციკორზე.

12. ჩაის, ყავას, მათ სუროგატებს და ციკორს, როგორც ადგილობრივი აღმოცენებისა, ისე უცხოეთიდან შემოტანილს ნედლად თუ მზად,—დაედება აქციზი ხაზინის სასარგებლოდ შემდეგი რაოდენობით:

ა) შავი (ბაიხოვი) ჩაი—სამასი ათასი მან. გირვანქაზე (ამიერკავ. ფუულის ნიშნებით);

ბ) ჩაი ფილებად (პლიტოჩნი)—ას სამოცი ათასი მან. გირვანქაზე (ამიერკავ. ფუულის ნიშნებით).

გ) აგური ჩაი (კირპიჩნი) ას ოცი ათასი მან. გირვანქაზე (ამიერკავკასიის ფუულის ნიშნებით).

დ) ყავა ნატურალური, უმი ან დახალული და დაფქული—ოთხმოცი ათასი მანეთი გირვანქაზე (ამიერკავკასიის ფუულის ნიშნებით).

ე) სუროგატი ჩაისა და ყავისა და ციკორი—თორმეტი ათასი მანეთი გირვანქაზე (ამიერკავკასიის ფუულის ნიშნებით).

შენიშვნა. ადგილობრივი აღმოცენების ჩაი დაიბეგვრება ოცი ათასი მანეთის რაოდენობით გირვანქაზე (ამიერკავკასიის ფუულის ნიშნებით), ხოლო ამიერკავკასიის ფედერაციის ფარგლებიდან გატანის დროს გადახდილ უნდა იქნეს სამასი ათასი მან. გირვანქაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

13. ყოველგვარი ოპერაცია მე-12 მუხლში ჩამოთვლილი პროდუქტების ჩაწყვისათვის და სათანადო შემოხვევაში, დამზადებისათვის – შეიძლება მოხდეს მარტოოდენ იმ ქარხნაში და საწარმოში, რომელიც გატარებულია რეგისტრაციაში არაპირდაპირ გადასახადთა ადგილობრივი სამმართველოს მიერ.

14. ჩაიზე, ყავაზე, მათ სუროგატზე და ციკორზე აქციზი გადახდილ უნდა იქნეს:

ა) უცხოეთიდან შემოტანილზე – საბაჟოდან გამოშვების დროს;

ბ) ადგილობრივ აღმოცენებისა და ადგილობრივ წარმოებულზე – მე-13 მუხლში აღნიშნულ ქარხნიდან და საწარმოდან გამოშვების დროს.

აქციზი დაწნეხილ საფუარზე.

15. დაწნეხილ საფუარს, როგორც ადგილობრივ დამზადებულს, ისე უცხოეთიდან შემოტანილს, დადება აქციზი ორმოცდა თექვსმეტი ათასი მანეთის რაოდენობით (ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით) თვითეულ გირვანქაზე.

16. დაწნეხილი საფუარის დამზადება შეიძლება მარტოოდენ ისეთ ქარხანაში და საწარმოში, რომელიც არაპირდაპირ გადასახადთა ადგილობრივი სამმართველოს მიერ გატარებულია რეგისტრაციაში.

17. აქციზი დაწნეხილ საფუარზე გადახდევინებულ უნდა იქნეს მისი გამოშვების დროს იმ ადგილიდან და საწარმოდან, სადაც იგი მზადდება.

აქციზი სახარინზე.

18. სახარინს და სხვა მის თანაგვარ ხელოვნურ ტკბილ ნივთიერებას, რაც მზადდება ამერიკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე ან შემოტანილია უცხოეთიდან—დადება აქციზი ერთი მილიონი მანეთის რაოდენობით (ამერიკავკასიის ფულის ნიშნებით) თვითეულ გირვანქაზე.

19. ყოველგვარი ოპერაცია სახარინის დამზადებისთვის და, სათანადო შემთხვევაში, ჩაწყვისათვის—შეიძლება მოხდეს მარტოოდენ იმ ქარხანაში ან საწარმოში, რომელიც არაპირდაპირ გადასახადთა ადგილობრივი სამმართველოს მიერ გატარებულია რეგისტრაციაში.

20. სახარინის აქციზი გადახდევინებულ უნდა იქნეს:

ა) უცხოეთიდან შემოტანილისა—საბაჟოდან გამოშვების დროს და

ბ) ადგილობრივ დამზადებულისა—მე-19 მუხლში აღნიშნული ქარხნიდან ან საწარმოდან გამოშვების დროს.

აქციზი სპირტზე და არყეულობაზე.

21. სპირტისა და სპირტის სასმელის წარმოება და მისი მოსახლეობისათვის მაყიდვა ნებადართულია ცალკე წესების საფუძველზე, რასაც განსაზღვრავს ამიერკავკასიის ფედერაციის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

22. მოხმარებისათვის გამოშვებული სპირტი, გამოხდილი პურეულიდან და ყურძნისა და ხილის მასალიდან და ავრეთვე არყეულობა—დაიბეგვრება აქციზით ხაზინის სასარგებლოდ შემდეგი რაოდენობით:

ა) გამოხდილი პურეულისაგან და დაჩირული ხილეულობისა და ყურძნეულობისაგან (ზიზუმა და ქიშმიში)—ოცი ათასი მანეთით (ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით) გრადუსზე ($^1/_{100}$ ნაწილი ერთი ვედრო უწყლო ალკოგოლისა).

ბ) კონიაკის სპირტი—ოცდა ოთხი ათასი მანეთით გრადუსზე;

გ) კონიაკს დაედება დამატებითი აქციზი ერთი მილიონი ოთხმოცი ათასი მანეთის რაოდენობით ვედროზე;

დ) სპირტი, გამოხდილი ნედლი ხილიდან, მარწყვეულობიდან და ღვინეულის ნაშთებიდან დაიბეგვრება რვა ათასი მანეთით გრადუსზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) არყეულობას, გარდა ძირითადი მინარიცხისა სპირტზე, მიერიცხება დამატებით ექვსასი ათასი მანეთი ვედროზე.

შენიშვნა. ტეხნიკური, ქიმიური და სხვა სპეციალური საჭიროებისათვის გაცემული უმი და რეკტიფიკაცია ქმნილი სპირტი უნდა დაიბეგროს აქციზით საერთო საფუძველზე.

23. სპირტისა და არყეულობის წარმოებისა და გაყიდვის ადგილი,—მიუხედავად დადგენილი სარეწავი გადასახადისა და შემუშავებისა და ვაჭრობის უფლებისათვის არსებული სხვა გადასახადების გასტუმრებისა,—გადაიხდის ცალკე საპატენტო გადასახადს, თანახმად არსებული საზოლო ნიხრისა.

აქციზი თაფლისა და ქანცვლილის (ოზოკერიტ) სანთელზე.

24. თაფლისა და ქანცვლილის სანთელს, როგორც მოკავშირე რესპუბლიკათა ტერიტორიაზე დამზადებულს, ისე უცხოეთიდან შემოტანილს—დაედება აქციზი სახელმწიფოს სასარგებლოდ სამოცდა თორმეტი ათასი მანეთის რაოდენობით (ამერიკაკასიის ფულის ნიშნებით) თვითეულ გირვანქაზე.

25. ყველა ქარხანა და დაწესებულება, სადაც მზადდება თაფლისა და ქანცვლილის სანთელი, გატარებულ უნდა იქნეს რეგისტრაციაში არაპირდაპირ გადასახადთა სათანადო სამმართველოში.

26. აქციზი ადგილობრივ დამზადებული თაფლისა და ქანცვლილის სანთელზე გადახდილ უნდა იქნეს მისი გამოშვების დროს ქარხნიდან ან საწარმოდან, ხოლო უცხოეთიდან შემოტანილისათვის—საბაჟოდან გამოშვების დროს.

აქციზი ყურძნისა, ხილეულობისა და „იზიუმის“ ღვინოზე.

27. მოსახლეობისათვის მისაყიდად გამოშვებული ყურძნის ღვინო, რომელიც ალკოგოლს შეიცავს არა უმეტეს 20 გრადუსისა, აგრეთვე ხილეულობისა და „იზიუმის“ ღვინო, რომელიც ალკოჰოლს შეიცავს არა უმეტეს 14 გრადუსისა და თავისი ვარგისიანობის მხრით აკმაყოფილებს ყველა სათანადო მოთხოვნას—დაიბეგვრება აქციზით ხაზინის სასარგებლოდ შემდეგი რაოდენობით:

ა. ადგილობრივი წარმოებისა:

ა. ყურძნის ღვინო არა უმეტეს 14 გრადუსისა სიმაგრით—ორასი ათასი მანეთი ვედროზე (ამერიკაკასიის ფულის ნიშნებით) გარდა ამერიკაკასიის რესპუბლიკათა ფარგლებიდან გატანილი ღვინოებისა და აგრეთვე ხილეულობის ღვინოებისა, რომელთაც აქციზი დაედება ოთხას ოთხმოცი ათასი მანეთის რაოდენობით ვედროზე.

ბ) ყურძნის ღვინოს, რომელიც ალკოჰოლს შეიცავს 14 გრადუსზე ზევით, მაგრამ არა უმეტეს 20 გრადუსისა და აგრეთვე „იზიუმის“ ღვინოს—დაედება აქციზი ერთი მილიონი ოთხმოცი ათასი მანეთის რაოდენობით ვედროზე;

გ) მონაცვარდე ღვინო (“შუშხუნა, დამზადებული შამპანიურისდაგვარად)—დაიბეგვრება აქციზით ორი მილიონი რვაასი ათასი მანეთის რაოდენობით ვედროზე.

ბ. უცხოეთიდან შემოტანილი:

დ) უცხოეთიდან შემოტანილ ყურძნის ღვინოს, რომელიც ალკოჰოლს შეიცავს 14 გრადუსამდე, აქციზად დაედება ერთი მილიონი მანეთი ვედროზე, 14 გრადუსს ზევით, მაგრამ არა უმეტეს 20 გრადუსისა—ორი მილიონი მან. ვედროზე და მონაცვარდე ღვინოს (“შუშხუნა, დამზადებული შამპანიურისდაგვარად)—რვა მილიონი მან. ვედროზე.

შენიშვნა. ღვინის ძმარს აქციზად დაედება ორასი ათასი მანეთი ვედროზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

28. ღვინის მწარმოებელს შეუძლიან მიჰყიდოს თავისი ღვინო მხოლოდ იმ სახელმწიფო ორგანოს, კოოპერატიულ ორგანიზაციას და კერძო პირს, რომელიც ღვინის ყიდვის უფლებისათვის მიიღებს ნებართვას აროპირდაპირ გადასახადთა ადგილობრივ სამმართველოში.

29. ღვინის აქციზი გადახდილ უნდა იქნეს მისი გამოშვების დროს ბითუმად გასაღების ადგილიდან ცალობით გაყიდვის ადგილას და კერძო პირისათვის გაცემის დროს.

30. ღვინის ბითუმად და ცალობით გაყიდვის ადგილი, მიუხედავათ დადგენილი სარეწავი გადასახადისა და ვაჭრობის უფლებისათვის არსებული სხვა გადასახადების გასტუმრებისა, გადაიხდის ცალკე საპატენტო გადასახადს, თანახმად არსებული საზოლო ნიხრისა.

აქციზი თამბაქოსა და გილზის ნაკეთობაზე.

31. თამბაქოსა და გილზის ნაკეთობას დაიდება აქციზი შემდეგი რაოდენობით:

ა. ადგილობრივი:

ა) ყვითელი თამბაქო ფოთლებად (მაგრამ არა წეკა), რომელიც ქარხნის საწყობიდან გადაეცემა თვით ქარხანას მოსაწევ თამბაქოდ და პაპიროსებად გადამუშავებისათვის,—დაიბეგვრება ას ოცი ათასი მანეთის (ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით) რაოდენობით თვითეულ გირვანქაზე;

ბ) წეკოს პაპიროსი—სამოცი ათასი მანეთის რაოდენობით ათას ცალზე;

გ) სიგარეტი—რვაასი ათასი მანეთის რაოდენობით ათას ცალზე;

დ) სიგარა—ორი მილიონი მანეთის რაოდენობით ათას ცალზე;

ე) წეკა—ოცი ათასი მანეთის რაოდენობით თვითეულ გირვანქაზე;

ბ. უცხოეთისა:

ვ) მოსაწევი თამბაქო და ბურნუთი—ოთხასი ათასი მან. რაოდენობით გირვანქაზე;

ზ) პაპიროსი –შვიდასი ათასი მან. რაოდენობით ათას ცალზე;

თ) სიგარეტი – ორი მილიონი და ოთხასი ათასი მან. რაოდენობით ათას ცალზე;

ი) სიგარა – ექვსი მილიონი მან. რაოდენობით ათას ცალზე;

გ. პაპიროსის გილზი—სამოცი ათასი მან. რაოდენობით თვითეულ ათას ცალზე.

დ. დაჭრილი პაპიროსის ქაღალდი—თექვსმეტი ათასი მან. რაოდენობით თვითეულ ათას ფურცელზე.

32. აქციზით დაბეგვრა პაპიროსისა, სიგარეტისა და სიგარისა სწარმოებს 31 მუხლის „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტით გათვალისწინებულ ფარგლებში იმ პირობით, უკეთუ ეს ნაკეთობანი თავიანთი წონით არ აღემატებიან თვითეული მათგანის ათასი ცალისათვის დაწესებულ უმაღლეს ფარგალს. ამ ფარგლების დაწესება და აგრეთვე პაპიროსზე, სიგარეტზე და სიგარაზე აქციზის თანაბრად გადიდებულ ჯანაკეთის დადგენა უკიდურესი წონის ზევით—უფლება ეძლევა განმარტოს ამიერკავკასიის ფედერაციის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა.

33. გილზი, რომელიც ხმარდება პაპიროსის დამზადებას თამბაქოს ქარხანაში,—აქციზით არ დაიბეგვრება.

34. თამბაქოსა და პაპიროსის აქციზი გადახდევინებულ უნდა იქნეს თამბაქოს გადაცემის დროს მოსაწევ თამბაქოდ და პაპიროსად გადამუშავებისათვის, ხოლო 31 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტში ჩამოთვლილ ნაკეთობათა აქციზი გადახდევინებულ უნდა იქნეს მათი გამოშვების დროს ფაბრიკიდან ან საბაზისო და საბითუმო საწყობიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

35. გილზის ნაკეთობის აქციზი გადახდევინებულ უნდა იქნეს მისი გამოშვების დროს იმ ადგილიდან, სადაც იგი მზადდება.

36. თამბაქოს ნაკეთობის ვაჭრობა, როგორც სავაჭრო საწარმოში, ისე ტარებით და ხელზე ვაჭრობა—დაიბეგვრება, ხაზინის სასარგებლოდ, ცალკე საპატენტო გადასახადით, თანახმად დაწესებული სიისა და მიუხედავათ სარეწავი და ვაჭრობის უფლებისათვის არსებული სხვა გადასახადების გადახდისა.

37. ყველა ფაბრიკა და ყოველნაირი დაწესებულება, სადაც მზადდება თამბაქოსა და გილზის ნაკეთობა,—გატარებულ უნდა იქნეს რეგისტრაციაში არა პირდაპირ გადასახადთა ადგილობრივი სამმართველოს მიერ.

აქციზი მარილზე.

38. ყველა მარილიანი ადგილი და მიწის გული შეადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

39. ამიერკავკასიის ფედერაციის რესპუბლიკათა თვითეულ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ევალება გამოარკვიოს და მოახდინოს რეგისტრაცია ამიერკავკასიის ყველა მარილიანი ადგილისა.

40. იმ რაიონებში, სადაც მარილის ამოღება ხდება სახელმწიფოს მიერ—მარილიანი ადგილის შემუშავებას ეწევიან ამიერკავკასიის ფედერაციის რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები.

41. მარილიანი ადგილი, რომლის ექსპლოატაციას სახელმწიფო არ ეწევა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსა და მისი ორგანოების მიერ შეიძლება მიეცეს იჯარით კოოპერატიულ დაწესებულებას, სოფლის საზოგადოებას და კერძო პირს.

42. საჭმლის მარილი, როგორც ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე დამზადებული, ისე უცხოეთიდან შემოტანილი, დაიბეგვრება აქციზით ორმოცი ათასი მანეთის რაოდენობით ფუთზე, გარდა ამიერკავკასიის რესპუბლიკის ფარგლებიდან გატანილი მარილისა, რომელსაც აქციზად დაედება ასოციათასი მანეთი ფუთზე.

43. სახმარებლად გამოშვებული ან უცხოეთიდან შემოტანილი მარილის აქციზი გადახდევინებულ უნდა იქნეს მისი გამოშვების დროს სამრეწველო ადგილიდან ან საბაჟოდან.

აქციზი ჭარხლისა და სახამებლო შაქარზე.

44. ჭარხლისა, კრისტალისებური და სახამებლო შაქარი, როგორც ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე დამზადებული, ისე უცხოეთიდან შემოტანილი, დაიბეგვრება აქციზით, ხაზინის სასარგებლოდ, შემდეგი რაოდენობით:

ა) ჭარხლის კრისტალისებური შაქარი (ფხვნილი, რაფინადი და დაწნეხილი შაქარი)—ორას ორმოცი ათასი მანეთი თვითეულ ფუთზე, გარდა ამიერკავკასიის რესპუბლიკის ფარგლებიდან გატანილი შაქრისა, რომელსაც აქციზად დაედება რვა ასი ათასი მან. ფუთზე;

ბ) სახამებლო შაქარი სითხედ და გამაგრებული (სახამებლის ბადაგი, გლიუკოზა და რაფინადი)—ას ოცი ათასი მან. თვითეულ ფუთზე.

შენიშვნა: ჭარხალ-შაქრის ქარხნიდან გამოშვებული შავი ბადაგი (მელასა) აქციზით არ დაიბეგვრება.

45. უცხოეთიდან შემოტანილი ლერწმის შაქარი აქციზის გადახდით გაუთანასწორდება ჭარხლის შაქარს.

46. ყველა ქარხანა და საწარმო, სადაც მზადდება ჭარხლისა და სახამებლო შაქარი, გატარებულ უნდა იქნეს რეგისტრაციაში არაპირდაპირ გადასახადთა ადგილობრივი სამმართველოს მიერ.

47. ადგილობრივ დამზადებული შაქრის აქციზი გადახდილ უნდა იქნეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ქარხნიდან გამოშვების დროს, ხოლო უკხოეთიდან შემოტანილისა—საბაჟოდან გამოშვების დროს.

48. აქციზით დასაბეგვრი ყოველი საგანი, გამოშვებული მისი დამზადებისა და ამოღების ადგილიდან და აგრეთვე საბითუმო და საბაზისო საწყობიდან, უკეთუ აქციზი გადარიცხულია ამ საწყობებზე, დღიდან ამა დადგენილების ძალაში შესვლისა, დაიბეგვრება აქციზით ახლად დადგენილი განაკვეთისამებრ.

49. აქციზით დასაბეგვრი საგნების მარაგი, რაც ამა დადგენილების ძალაში შესვლის დროს აღმოჩნდება სავაჭრო საწყობებსა და დაწესებულებებში,—დაიბეგვრება აქციზის ახლად დადგენილ განაკვეთსა და წინანდელ განაკვეთის შორის არსებული განსხვავების რაოდენობით. იმავე დამატებითი აქციზით უნდა დაიბეგვროს ის პროდუქტები, რაც გამოშვებულია წარმოებისა და შენახვის ადგილიდან, ამა დადგენილების ძალაში შესვლამდე, რამდენადაც ამ პროდუქტებს მიიღებს სავაჭრო საწყობი და დაწესებულება. ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა დაიწესოს მინიმალური რაოდენობა თითეული გვარის საგნებისა, რაც უნდა აღიარებულ-ნ და დაიბეგვროს აქციზით სავაჭრო საწყობებსა და დაწესებულებებში და აგრეთვე განსაზღვროს წესი და ვადები დამატებით მირიცხული აქციზის გადახდისათვის.

50. საერთო ხელმძღვანელობა იმ საქმეთა, რაც ეხება ყველა აქციზების გადახდევინებას—ევალება ამერიკავკასიის ფედერაციის ფინანსთა სახალო კომისარიატს.

51. ამერიკავკასიის ფედერაციის ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა გამოსცეს ხოლმე წესები და ინსტრუქციები ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

52. ამა დადგენილების მოქმედება გავრცელდება მთლად ამერი-კავკასიის ფედერაციაზე.

53. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარი **თუმანოვი.**

ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის თებერვლის 11-ს თარიღის 32 №-ში.

დეკრეტი ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის თებერვლის 9.

9. საზღვაო ტრანსპორტის მოქმედების გაერთიანების შესახებ.

ქ. მოსკოვში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ 1922 წლის დეკემბრის 30-ს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და საზღვაო ტრანსპორტისა და სავაჭრო პორტების მოქმედების გაერთიანებისთვის, ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და აფხაზეთის საზღვაო ტრანსპორტის სამმართველო და აგრეთვე კასპიის ზღვის პორტების სამმართველო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში, გადაკეთებულ იქნეს ამიერკავკასიის პორტების განყოფილებად. მოეწყოს საპორტო სამმართველოები ადგილობრივ, თანაბმად გზათა სახალხო კომისარიატის მიერ 1922 წლის ივნისის 30-ს თარიღით დამტკიცებული დებულებისა სავაჭრო პორტების მმართველობის შესახებ.

2. ამიერკავკასიის პორტების განყოფილება ყოველი მხრით ექვემდებარება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, რომელიც თავის მოქმედებას შეუთანხმებს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებში იხელმძღვანელებს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ორგანრობისა—ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებს და განკარგულებებს.

3. ვიდრე მოეწყობოდეს სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის ტრანსპორტის სამმართველო და დაინიშნებოდეს გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებული ამ საფუძველზე, რაც აღნიშნულია 1922 წლის დეკემბრის 30-ს საკავშირო ხელშეკრულობაში, ამიერკავკასიის პორტების განყოფილება ყოველ საქმეში ექვემდებარება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და თავის მოქმედებას შეუთანხმებს გზათა სახალხო კომისარიატის საზღვაო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს პორტების განყოფილების განკარგულებათ.

4. ცალკე უწყებათა ინტერესების შეთანხმებისათვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გზათა სახალხო კომისარიატს რწმუნებულთან ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში მოეწყოს ამიერკავკასიის საპორტო საქმეთა კომიტეტი. კომიტეტი მოქმედებს შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ საპორტო საქმეთა კომიტეტისა და თათბირების შესახებ 1922 წლის დეკემბრის 5-ს დამტკიცებული დებულების საფუძველზე; ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებში კომიტეტის დადგენილებანი უნდა დაამტკიცოს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ და საბრძოლოდ ჩაითვლება.

5. საჭართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და აფხაზეთის საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს საეკსპლოატაციო ნაწილი, რომელიც მოქმედებდა საქართველოს სახელმწიფო ნაოსნობის სახელწოდებით, გადაეცეს უშუალო გამგებლობასაკვეს შაიზღვა—აზოვის სახელმწიფო ნაოსნობას და გამოიყოს საანგარიშო ქონება რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო სავაჭრო პორტის დებულებით დადგენილი წესის მიხედვით; ეს გამოყოფა მოხდება ცალკე სალიკვიდაციო კომისიის მეშვეულობით, რომლის თავმჯდომარესაც დანიშნავს საზღვაო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველო ამიერკავკასიის პორტების განყოფილებისა და შაიზღვა—აზოვის სახელმწიფო ნაოსნობის წარმომადგენელთაგან.

6. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—**მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი—**მ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის თებერვლის 11-ს თარიღის 32 №-ში.

ნებად. ლ და გ. მთავ. მართ. № 468 ს. მ. ს. ს. ფ. ჰრლ. განყოფ. 1-ლი სტამბა. ტირაჟი 500.